საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 26 მარტის
დადგენილება № 634

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
საარჩევნო პროცესის ელექტრონული
წესით ჩატარების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს ა. ფრანგიშვილის წინადადება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებულ წესთან ერთად საარჩევნო პროცესის ელექტრონული წესით ჩატარების შესახებ.
2. დაევალოთ აკადემიური საბჭოს წევრებს, პროფესორებს: გ. სალუქვაძესა და გ. აბრამიშვილს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების დებულებაში“ შესაბამისი ცვლილებების შესატანად პროექტის მომზადება.
3. დაევალოს პროფესორ ლ. იმნაიშვილს საარჩევნო პროცესის ელექტრონული წესით ჩატარებისათვის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ წინადადებების მომზადება.
4. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული 2012 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანების არჩევნების ჩატარება ელექტრონული წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე